განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტი ეფუძნება:

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის №1266 განკარგულებას; ,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 24 აპრილის №826 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის მთავრობის 2026 წლის 9 ივნისის №1241 განკარგულებას; საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260-1 განკარგულებას ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ ; ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 მაისის №994 განკარგულებას; ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260-2 განკარგულებას.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის №102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის №1266 განკარგულების საფუძველზე ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პუნქტი 1.33-ით, სენაკის მუნიციპალიტეტისათვის დანართი №33-ით გამოყოფილი თანხა შეადგენს 6 726 948(ექვსი მილიონ შვიდასოცდაექვსი ათას ცხრასორმოცდარვა) ლარს, მათ შორის: გოლასკური-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 530 487(ხუთასოცდაათი ათას ოთხასოთხმოცდაშვიდი) ლარი; ზანის ადმინისტრაციულ ადმინისტრაციულ ერთეულში, საესებუოს უბანში გზის რეაბილიტაცია 179639 (ასსამოცდაცხრამეტი ათას ექვსაოცდაცხრამეტი) ლარი; ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულისა და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 412 993(ოთხასთორმეტი ათას ცხრააოთხმოცდაცამეტი) ლარი; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკოლიდან -მეურნეობისაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 471 180(ოთხასამოცდათერთმეტი ათას ასოთხმოცი) ლარი; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბათარიაში მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ქუჩების რეაბილიტაცია 13 187(ცამეტი ათას ასოთხმოცდაშვიდი) ლარი; უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგინეს უბანში გზის რეაბილიტაცია 44 959(ორმოცდაოთხი ათას ცხრაასორმოცდაცხრამეტი) ლარი; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საწულეისკირიოში მინი მოედნის მოწყობა 101578 (ასერთი ათას ხუთასსამოცდათვრამეტი) ლარი; ძველი სენაკის ადმინისტრაცულ ერთეულში, სოფელ კოტიანეთში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 89 627(ოთხასოთხმოცდაცხრა ათას ექვსასოცდაშვიდი) ლარი; ჭავჭავაძის ქუჩა №123, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია 304798 (სამასოთხი ათას შვიდასოთხმოცდათვრამეტი) ლარი; რუსთაველის ქუჩა №227-229, შენობის ფასადის რეაბილიტაცია 97 449(ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასორმოცდაცხრა) ლარი; ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტი, სასპორტო

გაერთიანების შენობის წინ ტერიტორიის კეთილმოწყობა 112 686(ასთორმეტი ათას ექვსასოთხმოცდაექვსი) ლარი; კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია 141 077 (ასორმოცდაერთი ათას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი; ქურდოვანიძის ქუჩის რეაბილიტაცია 95000(ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი; წერეთლის ქუჩის(რუსთაველის ქუჩიდან ჭavჭავაძის ქუჩამდე) მოასფალტება 108 680(ასრვა ათას ექვსასოთხმოცი) ლარი; ვაჰანიას ქუჩის მოასფალტება 95000(ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი; ჯორჯაძის ქუჩის(ცოტნე დადიანის ქუჩიდან-რუსთაველის ქუჩამდე) მოასფალტება 66 624 (სამოცდაექვსი ათას ექვსასოცდაოთხი) ლარი; ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება 113 117(ასცამეტი ათას ასჩვიდმეტი) ლარი; ნინოშვილის ქუჩის მოასფალტება 121 895(ასოცდაერთი ათას რვაასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი; ცოტნე დადიანის ქუჩის მოასფალტება 190 000(ასოთხმოცდაათი ათასი) ლარი; რუსთაველის ქუჩის მოასფალტება 190 000(ასოთხმოცდაათი ათასი) ლარი; მაჩაბლის ქუჩის მოასფალტება 184 555(ასოთხმოცდაოთხი ათას ხუთასორმოცდათხუთმეტი) ლარი; ს.ჩიქოვანისა და ნ.ვაჩნაძის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 107426(ასშვიდი ათას ოთხასოცდაექვსი) ლარი: წმინდა ნინოს ქუჩის ზედა მონაკვეთის რეაბილიტაცია 109 103(ასცხრა ათას ასსამი) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეული, სოფელ ბეთლემში I ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია 169 302 (ასსამოცდაცხრა ათას სამასორი) ლარი; ჭყონდიდელის ქუჩის რეაბილიტაცია 285 000(ორასოთხმოცდახუთი ათასი) ლარი; ზვიად გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაცია 190 000(ასოთხმოცდაათი ათასი) ლარი; თბილისის ქუჩის რეაბილიტაცია(სანკტ პეტერბურგის ქუჩიდან - ზ.გამსახურდიას ქუჩამდე) 52 781(ორმოცდათორმეტი ათას შვიდასოთხმოცდაერთი) ლარი; ქ.სენაკი, ნიზან ცერცვაძის ქუჩის რეაბილიტაცია 803 908(რვაასსამი ათას ცხრაასსრვა) ლარი; ზანის ადმინისტრაციული ერთეული, სატყებუჩაო და საფაქიოს გზის რეაბილიტაცია 190 000(ასოთხმოცდაათი ათასი) ლარი; მეორე ნოსირის ადმინისტრაციული ერთეული, საგუდაოს უბანში გზის რეაბილიტაცია 95000(ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი; გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეული, სათურქიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 228 835 (ორასოცდარვა ათას რვაასოცდათხუთმეტი) ლარი; ზანის ადმინისტრაციული ერთეული, საშურღაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 73 981(სამოცდაცამეტი ათას ცხრასოთხმოცდაერთი) ლარი;ზანის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელ ზანაში მე-7 ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია 53 353(ორმოცდაცამეტი ათას სამასორმოცდაცამეტი) ლარი; თეკლათის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ტყირის გზის რეაბილიტაცია 481 675(ოთხასოთხმოცდაერთი ათას ექვსასსამოცდათხუთმეტი) ლარი: თაყაიშვილისა და აგარაკის ქუჩების ზედა მონაკვეთის რეაბილიტაცია 103 307(ასსამი ათას სამასშვიდი) ლარი: ნაფეტვარიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია 118746 (ასთვრამეტი ათას შვიდასორმოცდაექვსი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი“-ში გაიზარდა შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 517 969 (ხუთასჩვიდმეტი ათას ცხრაასსამოცდაცხრა) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 549 573 (ხუთასორმოცდაცხრა ათას ხუთასსამოცდაცამეტი) ლარით; ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 02 03) სხვა ხარჯების მუხლი (კაპიტალური) 75 208(სამოცდათხუთმეტი ათას ორასრვა) ლარით; შემცირდეს: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 59 012(ორმოცდაცხრამეტი ათას თორმეტი) ლარით; სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა(პროგრამული კოდი 05 01 04) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 47 800(ორმოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარით.

,,სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 24 აპრილის №826 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის მთავრობის 2026 წლის 9 ივნისის №1241 განკარგულებით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (დაზიანებული ინდივიდუალური საცხოვრებელი

სახლები) კომპენსაციის გაცემის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო 86 024(ოთხმოცდაექვსი ათას ოცდაოთხი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი"-ში გაიზარდა შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, სპეციალური ტრანსფერი (კოდი 133119) 86 024(ოთხმოცდაექვსი ათას ოცდაოთხი) ლარით და შესაბამისად გაიზარდა სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08) სხვა ხარჯების მუხლი 86 024(ოთხმოცდაექვსი ათას ოცდაოთხი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260-1 განკარგულებით ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 815113,78 (რვაასთხუთმეტი ათას სამასცამეტი ლარი და 78 თეთრი) ლარით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაიზარდა შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მიზნობრივი ტრანსფერი კოდი 1331112) 44217,78 (ორმოცდაოთხი ათას ორასჩვიდმეტი ლარი და 78 თეთრი)ლარით და შესაბამისად გაიზარდა საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 44217,78 (ორმოცდაოთხი ათას ორასჩვიდმეტი ლარი და 78 თეთრი) ლარით.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 მაისის №994 განკარგულებით საქართველოს რეგიონების სარეზერვო ფონდიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნაწილობრივი რეაბილიტაციის უზრუნველყოფის მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1025,0(ერთი მილიონ ოცდახუთი ათასი) ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი"-ში უნდა გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი 1332112) 1025,0(ერთი მილიონ ოცდახუთი ათასი) ლარით და შესაბამისად უნდა გაიზარდოს საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1025,0(ერთი მილიონ ოცდახუთი ათასი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260-2 განკარგულებით ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სენაკის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 437 537 (ოთხასოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი) ლარით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა გაიზარდოს შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერი (კოდი 1332112) 437 537 (ოთხასოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 437 537 (ოთხასოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასოცდაჩვიდმეტი) ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/წლის 14 ივლისის №02-402619571 მოხსენებითი ხარათიდან ირკვევა, რომ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით" გათვალისწინებული „ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის"

(პროგრამული კოდი 06 02 06) განხორციელების პროცესში გამოიკვეთა პროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი მოთხოვნის დაზუსტების აუცილებლობა. ამჟამად, პროგრამის შესაბამისად, დახმარების მისაღებად მოქალაქემ, სხვა დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს ხანძრის შესახებ აქტი, გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ. ზემოაღნიშნული სამსახური მოქალაქეებზე გასცემს ცნობას ხანძრის შესახებ, ხოლო აქტი წარმოადგენს შიდა სამსახურებრივ დოკუმენტს და მოქალაქეზე არ გაიცემა. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად გათვალისწინებული წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა საჭიროებს ცვლილებას. კერძოდ, პროგრამის აღწერილობით ნაწილში წინადადება - „აქტი ხანძრის შესახებ, გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ.“ შეიცვალოს წინადადებით - „ცნობა ხანძრის შესახებ, გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ,,დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-17 მუხლის (ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა) ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის (პროგრამული კოდი 06 02 06) მიზანი და აღწერა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ, სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 4000 ლარის ოდენობით; ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1500 ლარით. დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ცნობა ხანძრის შესახებ, გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ. ასევე, სხვა სახის დოკუმენტი განცხადების განმხილველი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში; ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან. დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.“

.ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზადრი ქუთელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია